



განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

განმარტებები და კომენტარები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების
ზოგიერთ ნორმასთან დაკავშირებით

კახაბერ ერაძე

განმარტებები და კომენტარები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების ზოგიერთ ნორმასთან დაკავშირებით

წინამდებარე დოკუმენტი არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს, აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და ემსახურება დაწესებულებებისა და ავტორიზაციის ექსპერტების მხრიდან ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში დოკუმენტის ზოგიერთი ნორმის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის და მიდგომის დანერგვას. დოკუმენტში მოცემულია კომენტარები და განმარტებები მხოლოდ ზოგიერთ მუხლთან/პუნქტთან დაკავშირებით. კომენტარები გაკეთებულია სიანლისა და აქტუალობის კრიტერიუმის შესაბამისად. არაა დაკომენტარებული საკითხები, რომლებიც სამინისტროს ან სხვა სააგენტოების კომპეტენციებს განეკუთვნება და დაწესებულების ან ექსპერტის როლი მასში არ ან ნაკლებად იკვეთება, არაა დაკომენტარებული საკითხები, რომლებიც გარდამავალ ეტაპზე, მხოლოდ 2021 წლის მიღებისათვის მოქმედებს, ასევე საკითხები, რომლებიც ცალსახადაა ჩამოყალიბებული და განსხვავებული ინტერპრეტაციის რისკს ნაკლებად შეიცავს.

ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული იყვნენ თავიანთი შიდა რეგულაციები ამ წესთან შესაბამისობაში მოეყვანათ 2021 წლის 9 ივლისამდე.

ციტირება	კომენტარი/განმარტება
მუხლი 2, პუნქტი 2	
<p>პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზანია დეცენტრალიზებული, სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური და გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p>	<p>წინამდებარე ნორმა უმნიშვნელოვანესია, რადგანაც მიდგომების სახით აყალიბებს იმ პრინციპებს, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ამ დოკუმენტის საფუძველზე დაწესებულების მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების/ გაწერილი რეგულაციის შეფასების კრიტერიუმს. ესაა: ორიენტირება სტუდენტის ინტერესებზე, ობიექტურობა და გამჭვირვალეობა. შესაბამისად, იქნება ეს კონსულტირება, შეფასება (გამოცდა, გასაუბრება, შიდა კონკურსი), აპელაცია, ჩარიცხვის აქტის გამოცემა თუ სხვა, ამ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს.</p>
მუხლი 3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება	
<p>1. დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომში - დაწესებულება) /საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - საგანმანათლებლო რესურსცენტრი</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. ჩარიცხვა თვითონ პროცესია, ასევე ცალკე პროცესია კონსულტირება, რომელსაც მე-3 მუხლი მთლიანად ეძღვნება. ეს არაა ერთჯერადი აქტი/ქმედება, არამედ პროცესია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, უსასყიდლოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. შესაბამისად, დაწესებულებას მოეთხოვება:</p>

<p>(შემდგომში - რესურსცენტრი), მიმართვის შემთხვევაში ვალდებულია დაინტერესებულ პირს:</p> <p>ა) გააცნოს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები;</p> <p>ბ) მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;</p> <p>გ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამაზე ამ წესით გათვალისწინებული რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს რეგისტრაციაში.</p> <p>2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, დაწესებულება ვალდებულია დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა.</p> <p>4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.</p>	<p>ა) გააჩნდეს კონსულტირების, როგორც პროცესის აღწერა, მისი ასახვა შიდა აქტში (ცალკე აქტად ან რომელიმე აქტის თავის/მუხლის სახით);</p> <p>ბ) პირის/ სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიცირება, რომელსაც ევალება ამ პროცესის ან მისი ნაწილის განხორციელება და ამისი ასახვა სტრუქტურული ერთეულის დებულებაში/ სამუშაო აღწერილობაში;</p> <p>გ) უზრუნველყოს პასუხისმგებელი პირის ცოდნის/უნარების შესაბამისობა შესასრულებელ სამუშაოსთან;</p> <p>დ) საჭიროების შემთხვევაში გააჩნდეს ამისათვის საჭირო რესურსები, სამუშაო ფორმები, ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაცია, არსებობის შემთხვევაში- დისტანციური კონსულტირებისათვის შესაბამისი პლატფორმა;</p> <p>ე) კონსულტირების შინაარსი არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი (იხ. სტანდარტი 5, კრიტერიუმი 5.2.3);</p> <p>ვ) პროცესის ხარისხი უნდა იყოს უზრუნველყოფილი, შესაბამისი პირის/ სტრუქტურის მიერ (გაწეული კონსულტაციების აღრიცხვა, შინაარსის ადეკვატურობა, კმაყოფილების კვლევა სანდო ინსტრუმენტებით) და შემდგომი რეაგირება მისი გაუმჯობესების მიზნით.</p>
<p>მუხლი 5, პუნქტი 1</p>	
<p>პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, დაწესებულება, შესაბამისი წლის 1 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით, ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.</p>	<p>პროგრამაზე მიღების გამოცხადება იმპერატიულად არ უკავშირდება კოლეჯის მიერ რაიმე აქტის გამოცემას. თუ დაწესებულებას ასე სურს, შეუძლია აქტივ გამოსცეს, თუმცა ამას ახალი წესი არ ითხოვს. მიღების გამოცხადება ნიშნავს დადგენილ ვადებში ანკეტა-კითხვარის ელექტრონულად შევსებას.</p> <p>შესაბამისად, დაწესებულებას უნდა გააჩნდეს რეგულაცია, თუ ვინ და რა ფორმით იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ პროგრამებზე გამოცხადდეს მიღება, მოცემულ წელს და რა ოდენობის ვაკანტურ ადგილებზე, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს ანკეტა-კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი.</p>
<p>მუხლი 5, პუნქტი 3</p>	

<p>საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაწესებულება ვალდებულია მიღება გამოაცხადოს ორი სასწავლო გეგმით (სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>	<p>ამ ნორმის მიზანია არ ჩაკეტოს პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა სრული ზოგადი განათლების მქონე პირებისათვის, რომლებიც ინტეგრირებულ პროგრამაზე ვერ ირიცხებიან. ამიტომაც დაწესებულებას აქვს ვალდებულება, გამოაცხადოს მიღება არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზეც. თუმცა, თუ ვაკანტური ადგილების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ორი დამოუკიდებელი რენტაბელური ჯგუფი ვერ შეიქმნება, რისთვისაც დაწესებულებამ უნდა იხელმძღვანელოს პროგრამის ბიუჯეტით, ეს ვალდებულება კოლეჯს არ აქვს.</p> <p>რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ამ ნორმის აღსრულებას დაწესებულებაში პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურა ჰყავდეს რაც შესაბამისი დოკუმენტით უნდა იყოს ფორმალიზებული.</p>
<p>მუხლი 5, პუნქტი 7</p>	
<p>ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შერჩევის პერიოდის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში დაწესებულება უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.</p>	<p>მას შემდეგ, რაც პირველად ეტაპზე აპლიკანტთა შერჩევა დასრულდება, იმ მოტივაციით, რომ დაწესებულებამ რეაგირება მოახდინოს მოცემულ პროგრამაზე არსებულ მაღალ მოთხოვნაზე, შეუძლია დამატებითი ჩარიცხვისათვის გაზარდოს მისაღები ადგილები შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.</p> <p>ნებისმიერ შემთხვევაში, დაწესებულებამ უნდა დაიცვას პროგრამის განხორციელების უფლების მიღების ეტაპზე, მისაღები ადგილების განსაზღვრის დასაბუთებაში მოყვანილი ლოგიკა, თუ ასეთს ითვალისწინებდა კვოტის განსაზღვრის პირობა (ორ ცვლაში სწავლება, ყოველწლიურად სტუდენტთა მიღების ლიმიტირებული რაოდენობა და სხვა), ან მოიყვანოს არგუმენტები, თუ რის გამოც განდა შესაძლებელი ამ პირობის უგულებელყოფა.</p>
<p>მუხლი 8, პუნქტი 1</p>	
<p>1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:</p> <p>ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;</p>	<p>ეს ნორმა დაწესებულებას ავალდებულებს დაადგინოს წესი, რითაც როგორც მინიმუმ, განსაზღვრავს ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საკითხებს.</p> <p>გავიხსენოთ, რომ ავტორიზაციის სტანდარტის 2.1.1. კრიტერიუმის მე-2 ინდიკატორის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაზე</p>

<p>ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;</p> <p>გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;</p> <p>დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;</p> <p>ე) აპელაციის წესსა და ვადებს;</p> <p>ვ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;</p> <p>ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.</p>	<p>დაშვების წინაპირობა და პროცედურები უზრუნველყოფენ პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა/უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>ეს ჩანაწერი პირდაპირ განსაზღვრავს შერჩევის პროცედურის მიზანს. ის უნდა ემსახურობდეს აპლიკანტის წინარე კომპეტენციების შეფასებას, რაც პროგრამის წარმატებით დაძლევის წინაპირობა უნდა გახდეს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შერჩევის როგორც ორგანიზაციული, ისე შინაარსობრივი (მაგალითად შერჩევის მეთოდები, კითხვარების, პრაქტიკული დავალების თუ ტესტის შინაარსი) საკითხების გადაწყვეტისას.</p> <p>დაწესებულებები ვალდებული იყვნენ რომ ეს რეგულაციები შეექმნათ არაუგვიანეს 2021 წლის 9 ივლისისა და აღნიშნულის თაობაზე ეცნობებინათ ცენტრისათვის.</p> <p>პირველ წელს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების გამოყენებით დაწესებულებას რა თქმა უნდა შეუძლია ამ წესებში ცვლილებების შეტანა/მათი გაუმჯობესება.</p>
<p>მუხლი 8, პუნქტი 2</p>	
<p>თითოეულ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შერჩევა უნდა განხორციელდეს ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში. დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია ასახოს სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.</p>	<p>საბაზო და საშუალო პროფესიულ პროგრამაზე შერჩევას თვითონ დაწესებულება უზრუნველყოფს. ამიტომაც მინისტრის მიერ შერჩევისათვის დადგენილ შუალედში დაწესებულებამ, უფლებამოსილი პირის ბრძანებით უნდა დაადგინოს თუ რომელ რიცხვში და რა დროს ჩაატარებს შეფასებას ამა თუ იმ პროგრამის აპლიკანტებისათვის.</p>
<p>მუხლი 8, პუნქტი 3</p>	
<p>დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული თარიღის/თარიღების შესახებ აცნობოს აპლიკანტს,</p>	<p>აპლიკანტთა ინფორმირება აღნიშნული თარიღების თაობაზე დაწესებულების ვალდებულებაა. ამიტომაც წინა პუნქტის</p>

<p>გონივრულ ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული წესით.</p>	<p>თანახმად დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მათი ინფორმირების ფორმები. ეს ინფორმირება უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადებში, ხოლო თუ აპლიკანტი ითხოვს განსხვავებულ თარიღში შეფასებას, მათ შორის იმის გამო, რომ მას უკვე სხვა პროგრამის მიზნებისათვის აქვს ჩანიშნული შეფასება, დაწესებულებამ უნდა დაადგინოს განსხვავებულ თარიღში შეფასების წესი და იმოქმედოს ამ წესის შესაბამისად. ეს რეგულაციები ორიენტირებული უნდა იყოს აპლიკანტის ინტერესებზე.</p>
---	---

მუხლი 8, პუნქტი 4

<p>ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესარჩევი და აპელაციის კომისიების ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და უნდა ითვალისწინებდეს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.</p>	<p>ეს ნორმა იმპერატიულად ადგენს, რომ კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.</p> <p>ამ ნორმას მიყვავართ რამდენიმე ლოგიკურ დასკვნამდე:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კომისიაში, თუ ის გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით, უმრავლესობა არ უნდა იყოს დაწესებულების წარმომადგენელი; 2. კომისია არ უნდა იყოს უფლებამოსილი, თუ კონკრეტულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობას ქმნიან დაწესებულების წარმომადგენლები; 3. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს მოწვეული წევრი (ამიტომაც, სასურველია კომისიის/სხდომის თავმჯდომარე არ იყოს დაწესებულების წარმომადგენელი); 4. ამ რეგულაციის მიზნებისათვის დაწესებულების წარმომადგენელში უნდა მოიაზრებოდეს მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირი, ასევე პირი, რომელიც არ არის მოცემულ მომენტში დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში, თუმცა ახორციელებს შესაფასებელი სტუდენტის სწავლებას. <p>რა თქმა უნდა ეს განმარტებები სარეკომენდაციოა და დაწესებულებას შეუძლია სხვა მექანიზმების გამოყენება, ამ პუნქტის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად.</p>
--	---

მუხლი 8, პუნქტი 6

<p>შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შერჩევის ეტაპის დაწყებამდე.</p>	<p>ამ ნორმის საფუძველზე დაწესებულება ვალდებულია განსაზღვროს ქულობრივი სისტემა. მან უნდა გადაწყვიტოს თუ რამდენ ქულიან სისტემას გამოიყენებს: 5, 10, 20, 100 და სხვა. განსაზღვროს თუ რა შემთხვევაში იწერება ესა თუ ის ქულა. ასევე წინასწარ განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ხელმძღვანელის აქტით), რათა მომავალში ეს ზღვარი არ მოერგოს ფაქტობრივად მიღებული ქულების რაოდენობას და ამით შერჩევის პროცესი მხოლოდ ფორმალურად არ იქცეს.</p> <p>შესაბამისად მინიმალური კომპეტენციის ზღვარიც, თუ რამდენი ქულა ითვლება „გამსვლელად“, შერჩევის მნიშვნელოვანი ელემენტია.</p> <p>ამასთან მინიმალური კომპეტენციის ზღვრის წინასწარ დადგენა უზრუნველყოფს ობიექტურობასა და გამჭვირვალეობას (იხ. ამ წესის მუხლი 2, პუნქტი 2).</p>
<p>მუხლი 9, პუნქტი 10</p>	
<p>. პროგრამაზე რეიტინგული სია დგება მხოლოდ იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.</p>	<p>მუხლი 9 შეეხება ჩარიცხვას ინტეგრირებულ პროგრამებზე. მუხლი მე-8 მუხლის იდენტურია, გარდა მე-10 პუნქტით დადგენილი სპეციფიკისა, რომლის მიხედვითაც ინტეგრირებულ პროგრამებზე მხოლოდ 9 კლას დამთავრებული პირები ჩაირიცხებიან, (უფრო კონკრეტულად კი პირები, რომლებსაც საბაზო განათლების შემდეგი კვალიფიკაცია არ მიუღიათ, როგორცაა სრული ზოგადი ან უფრო მაღალი დონის განათლება). ეს გამოწვეულია იმ არგუმენტით, რომ ინტეგრირებული პროგრამის მიზანი სწორედ სრული ზოგადი განათლების (12 კლასი) დონის შესაბამისი კომპეტენციების მიღწევაა და ლოგიკურია პირები, რომლებსაც უკვე აქვთ ამ განათლების დონე, ამ პროგრამაზე არ უნდა ჩაირიცხონ. ეს ერთის მხრივ უზრუნველყოფს სისტემის მხრიდან ფინანსური და დროითი რესურსების ხარჯვის მიზნობრიობას, ხოლო მეორეს მხრივ სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდების მოტივაციით ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩაბარების პრევენციას.</p> <p>სრული ზოგადი ან უფრო მაღალი დონის განათლების მქონე პირები, რომლებსაც მხოლოდ პროფესიის დაუფლება სურთ, უნდა</p>

	ჩაირიცხონ არა ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე, რომელზე მიღების გამოცხადების ვალდებულება ინტეგრირებული პროგრამის განხორციელების უფლების მქონე დაწესებულებებს ამავე წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გააჩნიათ.
მუხლი 11, პუნქტი 2	
<p>დაწესებულება უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:</p> <p>ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;</p> <p>ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას;</p> <p>გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;</p> <p>დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;</p> <p>ე) აპელაციის წესსა და ვადებს;</p> <p>ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;</p> <p>ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.</p>	<p>მე-11 მუხლი ადგენს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხვის წესს, რაც ცენტრალიზებულ, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ ტესტირებას ითვალისწინებს, თუმცა მე-2 პუნქტი დაწესებულებასაც აძლევს შესაძლებლობას დამატებით დაადგინოს შერჩევის ეტაპი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად დამატებითი ეტაპი საკმაოდ გავრცელებულია სახელოვნებო და სასპორტო მიმართულების პროგრამებში.</p> <p>დამატებითი ეტაპის შემოღება არ აუქმებს ცენტრალიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის ვალდებულებას.</p> <p>დამატებითი შერჩევის ეტაპზე ვრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც მე-3 და მე-4 დონის პროგრამებზე ვრცელდებოდა. (იხ. კომენტარები ზემოთ)</p>
მუხლი 12, პუნქტი 11	
<p>ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ პროგრამებზე, რომელთა განხორციელების ერთადერთ შესაძლებლობად საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების</p> <p>50% ან მეტის მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ამ შემთხვევაში, შერჩევა ხორციელდება შესაბამისი სახის პროგრამისთვის დადგენილი წესით.</p>	<p>მე-12 მუხლი ადგენს სპეციფიკურ მოთხოვნებს დუალურად განხორციელებული პროგრამებისათვის, შერჩევას პროგრამის თანაგანმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელთა მონაწილეობით.</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ საექთნო პროგრამაშიც კლინიკური პრაქტიკის წილი 50%-ია, მხოლოდ ამისათვის ის არ უნდა იქნეს განხილული როგორც დუალური სწავლება, რადგანაც სხვა დუალური სწავლების ელემენტები, როგორცაა სტუდენტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, ანაზღაურება და სხვა, ვერ იქნება კანონმდებლობის დონეზე მოთხოვნილი ამ პროგრამისათვის.</p>

	ამიტომაც წინამდებარე პუნქტი სწორედ ამ საგამონაკლისო შემთხვევას უშვებს და შესაბამისად, საექთნო პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდება მე-11 მუხლით დადგენილი წესით.
მუხლი 21, პუნქტი 1	
დაწესებულება ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.	ეს ნორმა ითხოვს აპლიკანტის მიერ გამოხატულ წერილობით ნებას. ამიტომაც ჩარიცხვის შესახებ აქტის გამოცემას წინ უნდა უსწრებდეს რეიტინგულ სიაში არსებული აპლიკანტის მიერ წერილობით ნების გამოხატვა, რითაც ის ირჩევს მის მერ არჩეული სამი პროგრამიდან ერთ-ერთს. წერილობითი ნების გამოხატვის გარეშე ჩარიცხვა აპლიკანტს შეუზღუდავს სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, რადგანაც ერთი პირი მხოლოდ ერთ პროგრამაზე ირიცხება. ამიტომაც ამ ნორმის შეუსრულებლობა პირდაპირ იქნება განხილული როგორც აპლიკანტის უფლებების დარღვევა და მოჰყვება შესაბამისი რეაგირება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
მუხლი 21, პუნქტი 4	
დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება წესი, რომელიც განსაზღვრავს: ა) აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს; ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმას; გ) დოკუმენტების წარდგენის ვადებს; დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველებს; ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს; ვ) სხვა საკითხებს, დაწესებულების გადაწყვეტილებით.	ეს ნორმა ავალდებულებს დაწესებულებას დაადგინოს ქვეპუნქტებში მითითებული პროცედურული საკითხები. ასევე დაწესებულებას განსაზღვრული უნდა ჰყავდეს ამ ქვეპროცესზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურა. წინა პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ნება ასევე ამ ეტაპზე შესაძლოა იქნეს გამოხატული.
მუხლი 21, პუნქტი 7	
აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.	ეს ნორმა ცალსახად ადგენს, რომ კანონმდებლობა უშვებს ერთი პირის მიერ ერთ პროგრამაზე სწავლის უფლებას (პროფესიული განათლების ნაწილში). ამას თავის არგუმენტები აქვს. ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით სრული დატვირთვით სწავლა შესაძლებელია ერთ პროგრამაზე.

	<p>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ფორმალური განათლების ფარგლებში სრული სასწავლო დატვირთვის პირობებში მიღწევადი სწავლის შედეგების ერთობლიობა შეადგენს 60 კრედიტს. სრული სასწავლო დატვირთვა გულისხმობს პირის მიერ ერთი კალენდარული წლის მანძილზე 1500 – 1800 (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) საათიან დატვირთვას.</p> <p>შესაბამისად, სანამ საკითხი სისტემურ დონეზე კონტროლს დაექვემდებარება, დაწესებულებებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა.</p>
<p>მუხლი 21, პუნქტი 8</p>	
<p>რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:</p> <p>ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე დაწესებულების მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;</p> <p>ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;</p> <p>გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.</p>	<p>აპლიკანტისათვის ჩარიცხვაზე უარის თქმა სენსიტიური საკითხია და შესაძლოა მისი უფლებების დარღვევასაც კი იწვევდეს. ამიტომაც დაწესებულებებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაწერილი რეგულაცია, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს უარის თქმის შესაბამისი მტკიცებულებების არსებობას.</p> <p>ამასთან დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვროს აპლიკანტის მიერ მისი ვალდებულებების შესრულების (მაგალითად დოკუმენტაციის წარმოდგენის) ვადები, რომელთა დაუცველობაც გახდება ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი, რათა დაწესებულება არ დაზარალდეს აპლიკანტის უმოქმედობის გამო.</p> <p>რა თქმა უნდა, ამ ვადებისა და პირობების შესახებ აპლიკანტი სათანადო წესით უნდა იყოს ინფორმირებული.</p>
<p>მუხლი 21, პუნქტი 9</p>	
<p>პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები</p>	<p>წესი ადგენს ვაკანტური ადგილების პროცენტულ გადანაწილებას აპლიკანტის მიერ მიღებული განათლების ცენზის შესაბამისად.</p>

<p>გამოყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.</p>	<p>შესაბამისად, პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა რეიტინგული სიებიც ამის მიხედვით დგება.</p> <p>თუმცა თუ ერთი რეიტინგული სია ვერ ავსებს შესაბამისი განათლების მქონე პირებისათვის გამოყოფილ ადგილებს, ეს ადგილები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმავე პროგრამის მეორე რეიტინგული სიით განსაზღვრული პირების ჩასარიცხად, რაც არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს.</p>
<p>მუხლი 21, პუნქტი 10</p>	
<p>თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.</p>	<p>ავტორიზაციის დებულების 55-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.</p> <p>კანონმდებლობით რამდენიმე დასაშვები შემთხვევაა გათვალისწინებული. წინამდებარე ნორმაც ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს, როცა თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩარიცხვის შემთხვევაში დასაშვებია ზღვრული ოდენობის გადაჭარბება.</p> <p>კიდევ ერთ შემთხვევას ცნობს წინამდებარე წესის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი: <i>ყველა პროგრამა, რომელზეც შესაბამის წელს გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში,</i></p>
<p>მუხლი 21, პუნქტი 12</p>	

<p>დაწესებულება ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.</p>	<p><i>ამ ნორმის განმარტებისას, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის 127/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი, რომლის მე-13 მუხლი მართალია ადგენს ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემების ასახვის აქტის გამოცემიდან 5 დღიან ვადას შესაბამისი აქტის ძალაში შესვლიდან, თუმცა აქვე უშვებს დათქმას:</i></p> <p><i>გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საკითხის მომწესრიგებელი სპეციალური სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია კონკრეტული ინფორმაციის რეესტრში ასახვის განსხვავებული ვადები“.</i></p> <p><i>შესაბამისად, წინამდებარე ჩარიცხვის წესი უნდა განვიხილოთ ამ საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ სამართლებრივ აქტად და 5 დღიანი ვადის დარღვევა არ უნდა იქნეს განხილული დადგენილი წესის დარღვევად, თუ რეესტრში მონაცემთა ასახვა დასრულდება სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.</i></p>
<p>მუხლი 22, პუნქტი 3</p>	
<p>დაწესებულება უფლებამოსილია თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ინტეგრირებულ პროგრამაზე მისაღები ადგილების ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში;</p>	<p>22-ე მუხლი ადგენს ძირითადი ჩარიცხვების დასრულების შემდეგ, დამატებითი ჩარიცხვების საკითხებს.</p> <p>ამ ეტაპზე თუ ინტეგრირებულ პროგრამაზე ადგილები დარჩება ვაკანტური, დაწესებულება ამ ადგილებს გამოიყენებს არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე პირთა ჩარიცხვისათვის და პირიქით.</p>
<p>მუხლი 22, პუნქტი 9</p>	
<p>უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აპლიკანტის რეიტინგული ქულა დგინდება ჩარიცხვის წლის</p>	<p>დამატებით ჩარიცხვებში უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აპლიკანტი მონაწილეობს მის</p>

<p>ტესტირების შედეგის საფუძველზე. თუ დაწესებულებას დადგენილი აქვს შერჩევის დამატებითი ეტაპი, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ამ შერჩევის ორგანიზება.</p>	<p>მიერ უკვე მიღებული ქულებით თუ კი არ ატარებს დამატებით ტესტირებას დამატებითი ჩარიცხვებისათვის. შესაბამისად უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დამატებით ჩარიცხვის ეტაპზე მხოლოდ ის აპლიკანტები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებმაც მიმდინარე წელს გაიარეს ცენტრალიზებული ტესტირება.</p> <p>თუ დაწესებულებას პირველ ეტაპზე განსაზღვრული ჰქონდა შერჩევის საკუთარი, დამატებითი ეტაპი, ის ვალდებულია ეს ეტაპი განახორციელოს დამატებითი ჩარიცხვების დროსაც.</p>
<p>მუხლი 23, პუნქტი 2</p>	
<p>ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.</p>	<p>დეცენტრალიზაცია წარმოადგენს სისტემის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას. ეს წესი კარგი მაგალითია დეცენტრალიზებული მიდგომისა, მათ შორის უმნიშვნელოვანესია შერჩევის პროცედურების სრული დელეგირება მე-3 და მე-4 დონის პროგრამებზე, შესარჩევი და სააკველიციო კომისიების ფორმირება, მნიშვნელოვანი პროცედურების განსაზღვრა, უცხოურ პროგრამებზე ჩარიცხვა და წინამდებარე მუხლი, რომელიც მთლიანად დაწესებულებებზე ადელეგირებს იმ პირთა შერჩევის წესისა და პირობების განსაზღვრას, რომლებიც სარგებლობენ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლებით.</p>
<p>მუხლი 23, პუნქტი 4</p>	
<p>დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება ამ წესის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ ეტაპამდე.</p>	<p>ანუ დამატებითი ჩარიცხვები, რაც 22-ე მუხლითაა დადგენილი, არ ეხებათ პირებს, რომლებიც სარგებლობენ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლებით, რადგანაც დამატებით ჩარიცხვების დროს ცენტრალიზებული, ნაკის მიერ ორგანიზებული ტესტირება ადარ ტარდება. ამ პირებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ გამეორებით ჩარიცხვებში, თუმცა ამ ეტაპზე ვეღარ ისარგებლებენ 22-ე მუხლით დადგენილი შეღავათიანი პირობებით.</p>

